სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/189

ქ. თბილისი

12 ოქტომბერი 2020 წ.

სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ორდიპლომიანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა, საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის“ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით 2018 წლის 26 მაისის შეთანხმებისა და აკადემიური საბჭოს 12 ოქტომბრის №01-05-02/28 ოქმის საფუძველზე **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე ორდიპლომიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგიების“ ინგლისურენოვანი მოდულისათვის პილოტური საწარმოების (რძის და ყურძნის გადამამუშავებელი) აშენების მიზნით, შესაბამისმა სამსახურებმა უზრუნველყონ მშენებლობის ნებართვის მოპოვებისათვის სათანადო ღონისძიებების გატარება;
2. ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პილოტური საწარმოების მშენებლობისა და სათანადო აღჭურვისათვის ნაწილობრივი დაფინანსების

გამოყოფაზე შუამდგომლობა წარედგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს;

3. წინამდებარე დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილება წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) დასამტკიცებლად;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დავით გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **იაშა კუტუბიძე**